ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის ნინო რუხაძის ანგარიში

(საანგარიშგებო პერიოდი: 2022 წლის 1 ნოემბერი - 2023 წლის 1 ნოემბერი)

საანგარიშგებო პერიოდში ჩემი საქმიანობა წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- ✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქციის - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ და საკრებულოს ორი კომისიის - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისა და ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა;

- ✓ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში;

- ✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოსთან თანამშრომლობით აქტივობების, ღონისძიებების, ინიციატივებისა და პროექტების დაგეგმვაში, მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

- ✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება;

- ✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქციისა და საკრებულოს კომისიებში მუშაობა

საანგარიშგებო პერიოდში მონაწილეობა მივიღე:

- ✓ საკრებულოს 14 სხდომაში, რომელთა ფარგლებშიც ჯამში განხილულ და მიღებულ იქნა 105 დადგენილება და 615 განკარგულება;

- ✓ ფრაქციის 10 სხდომასა და 16 საკითხის განხილვაში;

- ✓ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 16 სხდომასა და 455 საკითხის განხილვაში;

- ✓ ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 11 სხდომასა და 50 საკითხის განხილვაში.

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საანგარიშგებო პერიოდში საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციას (ათეა) წარმოვადგენდი შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებში - ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭოში (CEMR), ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა განვითარების ევროპულ პლატფორმასა (PLATFORMA) და გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი მმართველობის მსოფლიო ორგანიზაციაში (UCLG).

CEMR

ევროპულ მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო (CEMR) უძველესი რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ევროპული ასოციაციაა, რომელიც 41 ევროპული ქვეყნის 60-მდე ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციას აერთიანებს. CEMR აგრეთვე წარმოადგენს გაერთიანებული ქალაქებისა და ადგილობრივი მმართველობის (UCLG) ევროპულ სექციას. აღსანიშნავია, რომ CEMR-ში არჩეული ვარ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე.

საყურადღებოა, რომ წელს საქართველოში პირველად ჩატარდა CEMR-ის გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანოს - პოლიტიკური კომიტეტის სხდომა, რომლის ორგანიზებაშიც ვიღებდი მონაწილეობას. საქართველოს ეწვია ევროპის მუნიციპალიტეტების წარმომადგენელი 100-მდე პოლიტიკური დელეგატი. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ევროპელი კოლეგების ვიზიტი საოკუპაციო ხაზთან, სოფელ ოძისში.

PLATFORMA

საანგარიშგებო პერიოდში მონაწილეობა მივიღე **PLATFORMA-**ს შემდეგ ღონისძიებებში:

- ✓ PLATFORMA-ს დაფუძნებიდან 15 წლის იუბილესთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 23-24 მარტს ბრიუსელში (ბელგიის სამეფო) გამართულ PLATFORMA-ის

პოლიტიკური საბჭოს სხდომაში. ღონისძიებაზე გამოვედი სიტყვით თემაზე - კრიზისების მართვა ადგილობრივი და რეგიონალური პერსპექტივიდან;

- ✓ ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ადგილობრივი ლიდერების მე-4 ფორუმში. ფორუმზე გამოვედი სიტყვით თემაზე - „ადგილობრივი თვითმმართველობების როლი აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების ევროინტეგრაციის პროცესში“.

UCLG

საანგარიშგებო პერიოდში ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო UCLG-ის სისტემიდან სოხუმის საოკუპაციო რეჟიმის გარიცხვის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ სოხუმის საოკუპაციო რეჟიმის გარდა, ქართული დელეგაცია მუშაობდა სევასტოპოლისა და დონბასის (უკრაინა), ასევე ტირასპოლის (მოლდოვა) საოკუპაციო რეჟიმების UCLG-დან გარიცხვის საკითხზე. რამდენიმეთვიანმა ინტენსიურმა მუშაობამ გამოიღო შედეგი - 2023 წლის 12-15 ივნისში, ბრიუსელში UCLG-ის აღმასრულებელმა ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება სოხუმის (საქართველო), სევასტოპოლისა და დონბასის (უკრაინა) და ტირასპოლის (მოლდოვა) საოკუპაციო რეჟიმების UCLG-ის მსოფლიო ორგანიზაციის წევრებად არდაშვების შესახებ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება

თბილისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა უკავშირდება ე.წ. შემოერთებულ ტერიტორიებზე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის სირთულეებს. დოკუმენტების ხარვეზიანობის, სხვადასხვა პირების მოთხოვნათა ზედდების გამო ათწლეულების მანძილზე ვერ ხერხდებოდა დიდი ფართობის ტერიტორიებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის წინაშე აღნიშნული საკითხის დაყენებისა და საჯარო რეესტრთან მუშაობის შედეგად მოიძებნა გზა, რომელიც უზრუნველყოფს არსებული პრობლემის მოგვარებას. შედეგად, საანგარიშგებო პერიოდში თბილისის მუნიციპალიტეტსა და იუსტიციის სამინისტროს შორის გაფორმდა მემორანდუმი და აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში თბილისში, განსაზღვრულ არეალებში განხორციელდება მიწის სისტემური რეგისტრაცია, რაც უზრუნველყოფს ე.წ. შემოერთებულ ტერიტორიებზე დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების პრობლემის მოგვარებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოსთან თანამშრომლობა

ეთნიკური უმცირესობების საბჭოსთან თანამშრომლობით განხორციელდა არაერთი აქტივობა, რომელთა მიზანია თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საჯარო სერვისებისა და პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა და საზოგადოებაში მათი კულტურის შესახებ ცნობიერების ამაღლება. ჩემი მონაწილეობა ამ აქტივობებში გამოიხატებოდა მათი დაგეგმვის, მომზადებისა და განხორციელების პროცესში ჩართულობაში. ჩატარებულ აქტივობებს შორის აღსანიშნავია:

- ✓ **ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში გამართული სემინარი**

ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წევრებისთვის ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში ჩატარდა სემინარი. სემინარის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესზე, მის მნიშვნელობასა და პერსპექტივებზე, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის დინამიკასა და ამ მიმართულებით არსებულ პროგრესზე, განხილულ იქნა მედიაწიგნიერების საკითხები და მისი როლი დეზინფორმაციასთან ბრძოლის კონტექსტში.

- ✓ **ევროპის საბჭოს პროექტის მომზადება და განხორციელება**

ეთნიკური უმცირესობების საბჭოს ინიციატივით თბილისის მუნიციპალიტეტმა წარადგინა საგრანტო პროექტი და მოიპოვა დაფინანსება ევროპის საბჭოს პროგრამის - "Strengthening Participatory Democracy and Human Rights at Local Level in Georgia" ფარგლებში. პროექტის - „თბილისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მიერ ინფორმაციაზე, საჯარო სერვისებსა და პროგრამებზე წვდომის გაზრდა" ფარგლებში თბილისის მერიის სხვადასხვა სამსახურებისა და სააგენტოების წარმომადგენლებმა ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წევრებს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია მუნიციპალური სერვისებისა და პროგრამების შესახებ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის მხარდაჭერისა და ეკონომიკური საქმიანობის წახალისების სფეროებში. თავის მხრივ, ეთნიკური უმცირესობების საბჭოს წევრებმა საკუთარ თემებში გამართეს საინფორმაციო შეხვედრების სერიები და საკუთარი თემების წარმომადგენლებს გაუზიარეს მიღებული ინფორმაცია.

- ✓ **კულტურული ღონიძიებების ორგანიზება და მხარდაჭერა**

ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რომელიც ემსახურება ეთნიკური უმცირესობების ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, დღესასწაულების, გამოჩენილი მოღვაწეების, ხელოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

- ✓ **სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება**

ეთნიკური უმცირესობების საბჭომ დაიწყო და გააგრძელებს შეხვედრების სერიებს, რომლებიც დაეთმობა სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. საანგარიშგებო პერიოდში ჩატარდა სააგენტოს - „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამების პრეზენტაცია.

ზემოაღნიშნული საქმიანობების გარდა საანგარიშგებო პერიოდში ვმონაწილეობდი:

- ✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომებსა და აქტივობებში;
- ✓ ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოს (CEMR) და ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა განვითარების ევროპული პლატფორმის (PLATFORMA) ორგანიზებით, ასევე საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მხარდაჭერით ჩატარებულ თანასწორობისა და ქალთა სოლიდარობის ფორუმში;
- ✓ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფორუმში;
- ✓ უკრაინიდან, ქ. ლვოვიდან მოსწავლეებისა და მათი პედაგოგების ვიზიტის ორგანიზებაში და სხვა აქტივობებში.